შპს „CD Company“-ს დირექტორს
რ. ჭ.-ს
ელ ფოსტა: rezo1963@mail.ru

რეკომენდაცია

სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

საქართველოს სახალხო დამცველს 2022 წლის 16 მარტს N3185/22 განცხადებით მომართა თ. შ.-ის წარმომადგენელმა, თ. ლ.-მ და მოითხოვა შპს „CD Company“-ს დირექტორის, რ. ჭ.-ის, მხრიდან თ. შ.-ის მიმართ, სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენა. განცხადების თანახმად, *განმცხადებლის მიმართ სექსუალური შევიწროება გამოიხატა სექსუალური ხასიათის კომენტარის, შეკითხვისა და ხუმრობის ფორმით, რამაც გამოიწვია* თ. შ.-*ის ღირსების შელახვა, ასევე მის მიმართ მტრული, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა.* სახალხო დამცველის აპარატში განმცხადებლის ინტერესებს ააიპ „საფარი“ წარმოადგენდა.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განცხადების თანახმად, თ. შ. შპს „CD Company“-ში იყო დასაქმებული, რომელსაც რ. ჭ. ხელმძღვანელობს. მხარეთა შორის ფიზიკური შეხვედრა მხოლოდ გასაუბრების ეტაპზე შედგა, რის შემდგომაც, რ. ჭ.-მ განმცხადებელთან კომუნიკაცია დისტანციურად, სოციალური ქსელისა (whatsapp) და სმს მიმოწერის გამოყენებით გააგრძელა. თავდაპირველად, მოპასუხის მხრიდან დასმული კითხვები გაცნობით ხასიათს ატარებდა, ხოლო, შემდგომ, თანდათანობით პირადი ხასიათის შინაარსი მიიღო. თ. შ. ვარაუდობდა, რომ დამსაქმებლისგან კითხვების დასმა გაცნობის მიზანს ემსახურებოდა, რის გამოც, დასმულ შეკითხვებს უპრობლემოდ პასუხობდა. კომუნიკაციის საწყის ეტაპზევე, განმცხადებელმა რ. ჭ.-ს განუმარტა, რომ მისთვის მიუღებელი იყო პირად ცხოვრებაზე საუბარი და შესთავაზა მხოლოდ თანამშრომლურ-მეგობრულად გაეგრძელებინათ მიმოწერა[1]. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხე მაინც

[1] მხარეთა შორის სმს შეტყობინების სახით არსებული მიმოწერა, თ. შ. - *[...ცუდად არ გამიგოთ არ მომწონს ეს ფორმა. მოდი თავს შევიკავებ მიმოწერისგან. ვიკონტაქტოდ თანამშრომლურ-მეგობრულად.]* გვ 1

აგრძელებდა მსგავსი შინაარსის შეკითხვების დასმას[2] *(მაგ. ჰყავდა თუ არა მეგობარი ბიჭი; რატომ იყო სკეპტიკურად განწყობილი დაოჯახების მიმართ)* და განმცხადებლის მიმართ მისი დამოკიდებულების გამოხატვას[3]. თ. შ.-ის განმარტებით, მან ბევრჯერ გაუსვა მკაფიოდ ხაზი მიმოწერისას მის მიერ დადგენილ ზღვარს, ასევე, მიანიშნა, რომ ხელმძღვანელთან პირად ცხოვრებაზე საუბარი უხერხულობას უქმნიდა[4]. რ. ჭ., როდესაც გრძნობდა, რომ განმცხადებლის მიერ დადგენილ ზღვარს სცდებოდა, ყოველ ჯერზე საუბარს წყვეტდა, თუმცა, გარკვეული დროის გასვლის შემდგომ, კვლავ უბრუნდებოდა იმავე საკითხს[5]. მოპასუხის მსგავსი ქცევა იმდენად შემაწუხებელი იყო განმცხადებლისთვის, რომ კითხვებზე პასუხის არ გაცემის გზით, საუბრის გაგრძელებას თავს არიდებდა[6]. გარდა მიმოწერისა, რ. ჭ., ასევე, აქტიურად ადევნებდა თვალს თ. შ.-ის მიერ სოციალურ ქსელებში ატვირთულ სურათებს და უზიარებდა იმ აზრებს, რომლებიც ცალკეული სურათების ნახვისას უჩნდებოდა. სურათების შეფასებისას იგი ხაზს უსვამდა განმცხადებლის ვიზუალს და გრძნობებს, რომლებიც *მას ლამაზი ქალის ხილვისას ეუფლებოდა*[7]. მოპასუხის ქცევა იმდენად

---

[2] მხარეთა შორის სოციალური ქსელით whatsapp არსებული მიმოწერა, რ. ჭ. - *[შენ რას აპირებ ცხოვრებაში რა მიზნები გაქვს ან გეგმა თუ გაქვს რაიმე პირადი ცხოვრების დასალაგებლად.* გვ. 12

[3] მხარეთა შორის სოციალური ქსელით whatsapp არსებული მიმოწერა, რ. ჭ. - *[...საინტერესო შეფასებაა და რატომ, ადამიანებს შორის გრძნობები ხომ ურთიერთობებით იღვიძებს და შენ ხომ სწორედ ის სასურველი პერსონა ხარ, ვისთანაც ყველაფერი სასიამოვნოა.]* გვ. 6, *[... მიყვარს შენთან საუბარი სულიერად მამშვიდებს თავს ვგრძნობ მორალურად მაღლა. შენც მიყვარხარ ვირტუალურად ოღონდ ეს დასაშვებ ჩარჩოებში და ეს გრძნობა მხოლოდ ჩემთან დარჩება (დაიმარხება) შენ ის არაფერს გავნებს. უბრალოდ, ალბათ როგორც ერთ მოკვდავს მეც მაქვს ჩემი სისუსტე და ასე მოხდა, თუმცა ვინახავ ჩემთვის.]* გვ. 8, *[...ამას ვხვდები რამოდენიმეჯერ ვნახე კიდეც შენი ვიზუალი შინაგანად როგორიც ხარ ეს ასე თუ ისე ვიცი და ასეთი საინტერესო, მიმზიდველი და მომხიბლავი რომ ხარ მეც ამიტომ ვარიდებ თავს შენთან შეხვედრას კი მქონდა მიზეზი ბევრჯერ რომ მენახე და საქმეზე გვესაუბრა მაგრამ თავი შევიკავე.]* გვ. 10

[4] მხარეთა შორის სოციალური ქსელით whatsapp არსებული მიმოწერა, თ. შ. - *[...მადლობა ამ დამოკიდებულებისთვის, მართლაც მნიშვნელოვანია ჩემთვის. მთავარია ეს ზღვარი შენარჩუნდეს, ვეცდები კარგი თანამშრომელი ვიყო.]* გვ 2; *..[არ შეიძლება ასე. ზომიერად კონტაქტს არ გავცდეთ ძალიან გთხოვთ. არასწორი იქნება მერე.]* გვ. 4; *[..არ მინდა ამაზე საუბარი ეს ჩემი სივრცეა, მხოლოდ ჩემი .....პირად კითხვებზე საუბარი არ მსურს.]* გვ 12; *[ეს ჩვეულებრივი ამბავი არ არის და არც გაზიარების სურვილი მაქვს ხოლმე. ეს მხოლოდ ჩემია. ასე, რომ არ დასვათ კითხვები.]* გვ 21; *[... უბრალოდ ძალიან გთხოვთ ნუ აურევთ სამსახურს და პირადს ერთმანეთში. როცა ვამბობ არ მინდა ჩემს თავზე საუბარი უნდა გაიგოთ. მე ამით დავასრულე.]* გვ. 22

[5] მხარეთა შორის სოციალური ქსელით whatsapp არსებული მიმოწერა, რ. ჭ. - *[.. ამიტომ მიყვარხარ ასეთი ჭკვიანი და შეგნებული რომ ხარ, იცი ყველაფერი და მაინც მშვიდად ხვდები ჩემგან მიუღებელ თემებს, თუმცა ალბათ დარწმუნებული ხარ რომ მეც არ გავცდები ფარგლებს.]* გვ. 9, *[... მე ყოველთვის გულწრფელი ვარ შენთან თუნდაც ეს დაუშვებელი თემები იყოს.]* გვ. 7, *[ეს საწყენად არ მიიღო, იცი შენ ჩემი აზრი დაუშვებელ თემებზე.]* გვ. 8, *[... კარგი გავჩუმდე ჯობია ალბათ, თორემ ვინ იცის რას იფიქრებ.]* გვ. 9, *[კარგი, გაჩერება ჯობია ისევ. მშვიდად იყავი შენ არაფერზე ინერვიულო.]* გვ. 10, *[არა მსუქანი ნამდვილად არ ხარ თუმცა არც ავადმყოფურად გამხდარი ნუ ფორმებზე ვერ ვილაპარაკებ თუმცა იდეალურ ფორმაში ხარ. თუმცა ალბათ სტოპ არა?]* გვ. 14

[6] მხარეთა შორის სოციალური ქსელით whatsapp არსებული მიმოწერა, თ. შ. - *[...კაი არაფერს ვიტყვი, დუმილი იყოს პასუხი.]* გვ. 8, *[აი რას აკეთებთ ახლა, არ გპასუხობთ და მაინც აგრძელებთ.]* გვ. 15, *[კარგი, სანამ რამეს მკითხავთ გეტყვით, რომ ხუმრობაა და დაგემშვიდობებით.]* გვ. 16

[7] მხარეთა შორის სოციალური ქსელით whatsapp არსებული მიმოწერა, რ. ჭ. - *[... ლამაზი სურათები გაქვს, სხვადასხვა კოლაჟით.... ისე ალბათ ადამიანმა ამოჩემება იცის და მეც რამოდენიმე სურათს რამოდენიმეჯერ*

აღიზიანებდა განმცხადებელს, რომ მან რ. ჭ. ყველა სოციალურ ქსელში დაბლოკა, რასაც მოპასუხის უკმაყოფილება მოჰყვა[8].

განმცხადებლის განმარტებით, ყოველ ჯერზე, როდესაც რ. ჭ.-სთან, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, კომუნიკაციის აუცილებლობა არსებობდა, იგი ღელავდა, ეშინოდა სმს შეტყობინების გაგზავნის, რათა მოპასუხეს მასთან არასამსახურეობრივ საკითხებზე მიმოწერა არ გაეგრძელებინა. თ. შ.-მ მიუთითა შემთხვევაზე, როდესაც ნერვიულობისგან სხეულზე ალერგიული რეაქცია, „ჭინჭრის ციება“ , განუვითარდა. საბოლოოდ, როდესაც მან ბევრი სმს შეტყობინება უგულებელყო და სოციალურ ქსელებში დაბლოკა, რ. ჭ. გაბრაზდა და უკმაყოფილება გამოხატა მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით. წარსულში, რ. ჭ.-ს განმცხადებლის საქმიანობასთან დაკავშირებით პრეტენზია არასოდეს გამოუთქვამს. აღნიშნული ფაქტის შემდგომ, თ. შ.-მ გადაწყვიტა, დაეტოვებინა სამსახური.

განმცხადებელმა, მტკიცებულების სახით, სახალხო დამცველს მასსა და რ. ჭ.-ს შორის არსებული მიმოწერის (სმს და whatsapp აპლიკაციების გამოყენებით) ამსახველი ე.წ. „სქრინშოთები“ წარმოუდგინა. წარმოდგენილ დოკუმენტში, რ. ჭ.-ს უკმაყოფილებასთან და შრომითი ურთიერთობის საკუთარი სურვილით შეწყვეტასთან დაკავშირებით შემდეგი შინაარსის მიმოწერა ფიქსირდება:

> **განმცხადებელი:** 21 და 24 ვაკეში. დანამდვილებით რაკი არვიცოდი ამიტომ არ მითქვამს აქამდე, მეგონა მე შევძლებდი წასვლას
> **მოპასუხე:** მემგონი რაღაც სხვა მიმართულებით მიდიხარ საერთოდ და აღწერა რომ არის რა აბა ამიხსენი ვერ გავიგე

შევხედავ ხოლმე რაღაც დევს მათში მაგიური სილამაზის.] გვ. 15; *[.. სევდა გეტყობა ყველა სურათში არა და როგორ გიხდება ღიმილი.]* გვ. 20; *[...მხოლოდ შორიდან ვხედავ შენში მძვინვარე ხასიათს და იცი ეს საშიშია. გუშინ არ მიპასუხე შენი ავანტურა ვინმესთვის არის გამიზნული თუ არათქო, თუმცა შეიძლება ეს ჩემი საქმე არაა. კითხვებს არ ვსვამ უბრალოდ სწორად მინდა შევხედო ყველა შენ გამოწვევას რასაც ფოტოებით გამოხატავ. ერთი თქმით ვთქვი შორიდან შემხედვარე სხვადასხვანაირად გაიგებს იმიტომ რომ ნებისმიერ გამომწვევ ფოტოში სინაზე და სილამაზე მეტი ჩანს ვიდრე გამოწვევა....ეჰ, სხვების რა მოგახსენო მაგრამ მე სიმართლე გითხრა აუწერელ სილამაზეს და სინაზეს ვხედავ მათში. თუმცა ვიცი ეს არაა საინტერესო შენთვის. მე ვერ წარმოვიდგენ ქალი ასეთ სილამაზეს ფენდეს და ამის უკან მისი დამალული სინაზე არ გეუბნებოდეს სამ ჯადოსნურ სიტყვას --შემომხედე კიდევ ერთხელ-- ან -- შემომხედე რა ლამაზი ვარ--- ან -- შემომხედე რამ დაგაბრმავა--- რომელი სამი ამათ შორის, თუმცა სამივე გეუბნება -- შემომხედე რამ დაგაბრმავა-]* , გვ 21

[8] მხარეთა შორის სოციალური ქსელით whatsapp არსებული მიმოწერა, რ. ჭ. - *[რას ერჩოდი უბრალოდ იმდენ სილამაზეს ვერ მივხვდი მაგრამ ალბათ მე აღარ მაქვს წვდომა თორემ რატომ წაშლიდი სულ და რატომ რა დავაშავე.]* გვ. 18, *[არა და არ გეტყობა რომ ცივი ხარ შორიდან, თუმცა ისე დამემალე ყველგან.]* გვ 25; *[მართალია შენი დიდებულება ყველგან დამიმალე, მაგრამ მაინც კარგი გოგო ხარ.]* გვ. 26; *[გამარჯობა, აჯობებდა ეს კვირა წასულიყავი მაინც არაფერი მქონდა საქონელი.... ეჰ, მეც მჭირდებოდა ხანდახან შენ სოც ქსელებში შეხედვა მაგრამ ეტყობა მიმაბლოკე.]* გვ. 27

მოპასუხე: რაღაც ძალიან გაგიხშირდა ასე ვთქვათ გაცდენები და თუ ატყობ პრობლემებს ქმნი ძალიან ხშირად. შენ თუ ვერ და არ მოდიხარ აღწერაზე მოაგვარე სხვანაირად, ისე რომ მე არავინ მისაყვედუროს

მოპასუხე: ალბათ ხვდები რასაც ვამბობ პატარა გოგო არ ხარ

მოპასუხე: რაც შეეხება შენ ახალ მოგონებას, მე არ მჭირდება არავის ჯგუფში მიმოწერები და მსგავსი რამე აღარ განმეორდეს

განმცხადებელი: მე არ მეხება თქვენს შორის არსებული გაუგებრობა. ვწუხვარ, თუ ამდენად შემაწუხებელი გახდა სმს წაკითხვა

განმცხადებელი: რა ვერ გაიგეთ ან რას ნიშნავს თქვენი ტონი. პანდემიაა და ვირუსი მაქვს. არც თქვენ ხართ ბავშვი და უნდა ხვდებოდეთ რასაც მწერთ. მე არ ვარ კომპანიის მმართველი, მოგვარება რომ შემეძლოს.

განმცხადებელი: სამი წლის მანძილზე არსებული გაცდენები შეგიძლიათ დამითვალოთ. მე შვებულებასაც კი არ ვიყენებდი სრულად და რატომ გააგრესიულდით ასე. არ ვიცი ვისთან რა გაგდით ჩემთან თავშეკავებას გირჩევთ. რა თქმა უნდა ვტოვებ თქვენს კომპანიას, თქვენ კი აკონტროლეთ თქვენი ასაკი და სურვილები.

მოპასუხე: აი ეხლა კი მართლა სხვაგან ხარ. მე ჩემ ასაკსაც ვაკონტროლებ და მითუმეტეს სურვილებსაც რომელიც შენ საერთოდ არ გეხება და ბოლოში რა მოიწერე კარგად გამარკვიე - დავტოვებ კომპანიასო? ეს იგულისხმე?

მოპასუხე: გელოდები, ამიხსენი რა დაწერე

მოპასუხე: გელოდები

მოპასუხე: ანუ წახვედი სამსახურიდან ამის თქმა გინდოდა

განმცხადებელი: ბოლო დროს თქვენი დამოკიდებულება, კომენტარები მხდის იძულებულს წავიდე სამსახურიდან. ძალიან მნიშვნელოვანია სამსახური ჩემთვის, არასერიოზულად არასდროს მოვკიდებივარ წესით უნდა იცოდეთ, თუმცა ღირსება გაცილებით ძვირფასია

განმცხადებელი: რატომ უნდა მიხდებოდეს თქვენი დაბლოკვა ყველა სოც ქსელში, თქვენი უკონტროლო კომენტარების გამო. დიდი იმედი მაქვს ვერც იაზრებდით და ისე მავიწროებდით სექსუალურად თუ მენტალურად. არაფრის თქმას არ აქვს აზრი, ყველა მიმოწერა ადგილზეა. ან თქვით რომ სხვაგან ვარ. კი. სხვაგან ვარ

მოპასუხე: მე შენთვის არ მითქვამს სამსახურიდან უნდა წახვიდეო ჯერ ერთი და რას ნიშნავს ეს ბოლო სიტყვები? მე გავიწროებდი სექსუალურად? რაში გამოიხატა ეს იქნება ამიხსნა

განმცხადებელი: ვეღარ ვუძლებ ამ ვითომ დადებით დამოკიდებულებას და სინამდვილეში ზეწოლას, ამიტომ მე ვტოვებ კომპანიას. აყევით სმს ზემოთ და ნახავთ, რამდენჯერ და როგორ გამოხატავდით

განმცხადებელი: თავი ამტკივდა უკვე. აღარაფერს დავამატებ

მოპასუხე: ეს იმის მაგიერ შვილივით რომ გიფრთხილდებოდი ამდენხანს. სრული თავისუფლება რომ გქონდა იმიტომ? შენი ნებაა. არ ვიცოდი თუ იძულებით მუშაობდი. ისე ერთ რჩევას მოგცემ, თუმცა მსგავსი ადრეც მითქვამს. როცა ასეთი პრობლემაა სამსახურთან მიმართებაში (სადმე ხარ ვერ მიდიხარ თუ რა მნიშვნელობა აქვს) უნდა ეცადო შენივე კოლეგების დახმარებით მოაგვარო მინიმალური პრობლემები ისე რომ მე არ გავილანძღო. მაგრამ შენ მსგავსი არასოდეს გიქნია.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა რ. ჭ.-სგან[9]. მოპასუხეს დაევალა, სახალხო დამცველისთვის ეცნობებინა თავისი შეფასება განცხადებაში განხილულ ფაქტობრივ გარემოებებთან და მტკიცებულებებთან დაკავშირებით. 2022 წლის 1 აპრილს მოპასუხემ სახალხო დამცველს წარმოუდგინა თავისი პოზიცია[10], რომელშიც აღნიშნა მხოლოდ ის, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. სექსუალური შევიწროების შესახებ სამართლებრივი სტანდარტი და მისი აკრძალვის მნიშვნელობა

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და აღიარებს დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3[2] პუნქტის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის „სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას“. ანტიდისკრიმინაციული კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვა ნებისმიერ სივრცეში განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებას ფარავს - ეს შეიძლება იყოს სამუშაო ადგილი, საგანმანათლებლო სივრცე, სამედიცინო სივრცე, საჯარო სივრცე - საზოგადოებრივი ტრანსპორტის, კვების/გასართობი/დასასვენებელი ობიექტების ჩათვლით, და სხვა ნებისმიერი სივრცე, სადაც სექსუალური შევიწროების ფაქტს შესაძლოა ჰქონდეს ადგილი.

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW)[11] გაეროს კომიტეტმა, N19 ზოგადი კომენტარით, სექსუალური შევიწროება მიიჩნია ქალთა მიმართ ძალადობის ფორმად, რომლის გამოვლინებაც რეალურ საფრთხეს უქმნის თანასწორობას.[12] ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენცია („სტამბოლის კონვენცია“)[13] ყველაზე ქმედითი საერთაშორისო ინსტრუმენტია ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური შევიწროების,

---

[9] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 23 მარტის კორესპონდენცია N13-1/3203

[10] რ. ჭ.-ის 2022 წლის 1 აპრილის კორესპონდენცია N3860/22

[11] „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს 1979 წლის კონვენციას საქართველო მიუერთდა 1994 წელს; ხელმისაწვდომია: https://indicators.ohchr.org/

[12] UN Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW), CEDAW General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §1; ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/docid/52d920c54.html

[13] ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 2017 წლის 19 მაისს. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35OrhNC

წინააღმდეგ. სტამბოლის კონვენცია აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად უთანასწორო ურთიერთობის მანიფესტაცია, რომელმაც გამოიწვია მამაკაცების დომინირება და ქალთა მიმართ დისკრიმინაცია.[14] კონვენციის მე-40 მუხლი სექსუალურ შევიწროვებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს. კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ეს შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შენიშვნა, შეკითხვა, ხუმრობა; ასევე, ფიზიკური კონტაქტი, როგორიცაა, შეხება, მოფერება, ჩქმეტა ან ფიზიკური თავდასხმა. ფიზიკურ შეხებაში იგულისხმება ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას გულისხმობს. ზემოაღნიშნული ქმედებები უნდა იყოს ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი და აკნინებდეს მის ღირსებას[15].

სექსუალურ შევიწროებას კრძალავს შრომითი კანონმდებლობაც. კერძოდ, „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა „პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს“. „საქართველოს შრომის კოდექსის“ მიზნებისთვის, სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და ნებისმიერი სხვა სექსუალური ხასიათის არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა[16].

სექსუალური შევიწროება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება თანასწორი მოპყრობის პრინციპს და აქვს დამაზიანებელი ეფექტი იმ ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ვის წინააღმდეგაც არის მიმართული[17]. საგულისხმოა, რომ შრომით ურთიერთობებში ქალთა მიმართ სექსუალურ შევიწროებას გენდერული უთანასწორობა და ძალაუფლებისა და კონტროლის გენდერზე დაფუძნებული მიდგომები განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი, თეორიულად, შესაძლოა, ორივე სქესის წარმომადგენელი გახდეს, პრაქტიკაში, შრომით ურთიერთობებში ქალთა სექსუალური შევიწროების შემთხვევები უფრო ხშირია, რაც საზოგადოებაში არსებული გენდერული ნორმებითა და ქალებსა და კაცებს შორის ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილებით აიხსნება[18]. დასაქმების ადგილზე ქალთა სექსუალურმა შევიწროებამ,

---

[14] ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კონვენცია, CETS 210, 2011, პრეამბულა.

[15] Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, §208, გვ.33-35, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/16800d383a

[16] საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-6 ნაწილის შენიშვნა

[17] The dignity of women at work, a report on the problem of sexual harassment in the member states of the European communities parts I- II, Luxembourg: office for official publications of the European communities, 1988, Michael Rubenstein, page 10-11

[18] UN Women, Addressing violence and harassment against women in the world of work, 2019, 5, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3axUJ0E

შესაძლოა, დამანგრეველი გავლენა მოახდინოს მსხვერპლი ქალების ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე და საბოლოოდ, შრომითი ბაზრიდან გარიყოს. კვლევებმა აჩვენა, რომ მსგავს შემთხვევებში, მსხვერპლი ქალების მხრიდან იზრდება ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შვებულებით სარგებლობისა და სამუშაოს ნებაყოფლობით დატოვების მაჩვენებელი. აღნიშნულს, უმეტესწილად, ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სექსუალური შევიწროება მუდმივ ახსიათს ატარებს, ანდა ხელმძღვანელობის მხრიდან საჩივარზე არაეფექტიანი რეაგირების გამო ქალს დაუცველობის განცდა უჩნდება[19]. გარდა აღნიშნულისა, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების გამოცდილება უარყოფითად მოქმედებს ქალების სამსახურით კმაყოფილებაზე, ხელს უწყობს საქმიანობათა სფეროების სეგრეგაციას და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას აფერხებს[20].

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ სექსუალური შევიწროება ყოველთვის იწვევს პირის ღირსების შელახვასა და დამცირებას. სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად[21].

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსხვერპლი არ აფიქსირებს, რომ მისთვის ქცევა არასასურველია, ეს არ გამორიცხავს შემავიწროებელი პირის პასუხისმგებლობას, ვინაიდან გონივრულობის ფარგლებში, შემავიწროებელს უნდა სცოდნოდა (ought to have known), რომ კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა მიუღებელი იქნებოდა მსხვერპლისათვის. აღნიშნული მიდგომა აწესებს სექსუალური შევიწროებისათვის სუბიექტურობისა და ობიექტურობის ტესტს, რომელშიც სუბიექტურობის კომპონენტი არის შემავიწროებლის დამოკიდებულება მისი ქცევის მიმღებლობასთან დაკავშირებით, ხოლო ობიექტურობის კომპონენტი კი ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორ იქნებოდა კონკრეტული ქცევა მიღებული, გონივრულობის ფარგლებში, მესამე პირის მიერ[22].

სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს ერთი ცალკე მდგომი შემთხვევით, ან შეიცავდეს სხვადასხვა სახის ქცევათა კასკადს. სექსუალური შევიწროება ორი ფორმით ხასიათდება: (1) Quid Pro Quo ანუ, მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც ითვალისწინებს სექსუალური ხასიათის მოთხოვნის არსებობას ქმედებაში[23]; და (2) მტრული

---

[19] UN Women, Addressing violence and harassment against women in the world of work, 2019, 17, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3axUJ0E

[20] Dan Cassino, Race, threat and workplace sexual harassment: The dynamics of harassment in the Unatied States, 1997-2016, ხელმისაწვდომია: https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1111/gwao.12394

[21] Ontario Human Rights Commission, Policy on preventing sexual and gender-based harassment, 7. Burden of Proof, Evidentary Issues, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ByzhlG

[22] Ontario Human Rights Commission, Policy on preventing sexual and gender-based harassment, 2.1. Defining Sexual Harassment, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3ByzhlG

[23] ILO, Fact Sheet on Sexual Harassment at Work, pg. 1, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_decl_fs_96_en.pdf

სამუშაო გარემო, როდესაც სამუშაო ადგილზე დამაშინებელ, შეურაცხმყოფელ პირობებს[24] ქმნის სექსუალური შინაარსის დამამცირებელი კომენტარები, მინიშნებები, შენიშვნები, ხუმრობები[25]. „Quid pro quo" სექსუალური შევიწროებისაგან განსხვავებით, სადაც ერთი იზოლირებულად მდგომი ინციდენტი, მისი სიმძიმის გათვალისწინებით, სექსუალურ შევიწროებად შეიძლება ჩაითვალოს, სექსუალური შევიწროებით მტრული გარემოს შექმნა, როგორც წესი, ხასიათდება მრავალჯერადი შეურაცხმყოფელი ინციდენტებით, რომელთა ინდივიდუალურად შეფასება შესაძლოა არც კი იძლეოდეს სექსუალური შევიწრეობის შემადგენლობას.[26] ამასთან, საგულისხმოა, რომ ბრიტანეთის შრომის სააპელაციო ტრიბუნალმა საქმეში Bracebridge Engineering LtD v Darby დაადგინა, რომ მხოლოდ ერთი ინციდენტიც, თუ საკმარისად სერიოზულია, საკმარისია დარღვევის დასადგენად.

საგულისხმოა, რომ სექსუალური შევიწროების დადგენის ტესტი განსხვავებულია დისკრიმინაციის დადგენის ტესტისაგან. კერძოდ, თუკი პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის საქმეებში, საჭირო არის შესადარებელი სუბიექტი, ე.წ. კომპარატორი, და დაცული ნიშანი, **სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლს კომპარატორი არ ჰყავს**, ამასთანავე, დისკრიმინაციისგან **დაცული ნიშნის არსებობა წინაპირობას არ წარმოადგენს.** ამასთან, სექსუალურ შევიწროებას **არ აქვს გამართლება,** თავისთავად არის არასწორი ქმედება თავისი პოტენციური შედეგებიდან გამომდინარე, რაც თავის თავში მოიცავს შევიწროების მსხვერპლის ღირსების შელახვას[27].

2.2. სექსუალური შევიწროება საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით

სექსუალური შევიწროება, დეფინიციის მიღმა, მოიცავს ცალკეულ მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებიც ქმედების შეფასების ინდიკატორებს წარმოადგენენ. თითოეული ინდიკატორი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და ერთობლიობაში ქმნის ან არ ქმნის სექსუალური შევიწროების მოცემულობას. ცალკეული ინდიკატორები, რა თქმა უნდა, არ არის სექსუალური შევიწროების დადგენის აბსოლუტური წინაპირობა და კონკრეტული ფაქტის შესასწავლად მთლიან კონტექსტს უნდა მიექცეს ყურადღება.

---

[24] ILO, Sexual Harassment at Work, pg. 1, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_decl_fs_96_en.pdf

[25] Deirdre McCann, Sexual Harassment at work: National and International Responses, ILO, Conditions of Work and Employment Series No. 2, 2005, pg. 2. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---travail/documents/publication/wcms_travail_pub_2.pdf

[26] Deborah A. Campbell, „The Evolution of Sexual Harassment Case Law in Canada", 1992, pg. 14; ხელმისაწვდომია: https://irc.queensu.ca/sites/default/files/articles/campbell-the-evolution-of-sexual-harassment-case-law-in-canada_0.pdf. ასევე, იხ.: Sally A. Piefer, „Sexual Harassment from the Victim's Perspective: The Need for the Seventh Circuit to Adopt the Reasonable Woman Standard", Marquette Law Review, Vol. 77, Issue 1, Article 5, 1993, pg. 95, ხელმისაწვდომია: https://scholarship.law.marquette.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1605&context=mulr

[27] საქართველოს სახალხო დამცველი, „პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ", გვ. 12, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021031110082436854.pdf

დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევებთან მიმართებით კანონმდებლობა ექსპლიციტურად განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3]-ე მუხლის თანახმად, პირმა სახალხო დამცველს/სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. ამდენად, **სავარაუდო შემავიწროებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მხრიდან არასასურველ სექსუალური ხასიათის ქმედებას ადგილი არ ჰქონია.** სავარაუდო შემავიწროებლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის მხოლოდ ზოგადი უარყოფა არ იქნება წონადი არგუმენტი, თუ მას მსხვერპლის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება უპირისპირდება[28].

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების თანახმად, სადაც ასახულია მხარეთა შორის არსებული მიმოწერა, სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების ვარაუდი, რის შემდგომაც მოპასუხეზე გადავიდა ტვირთი, რომ წარმოედგინა დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის გამაქარწყლებელი არგუმენტები და მტკიცებულებები. რამდენადაც, განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი ფაქტების უარყოფის მიზნით, მოპასუხეს არგუმენტები არ წარმოუდგენია, სახალხო დამცველი გადაწყვეტილების მიზნებისთვის მხოლოდ განმცხადებლის პოზიციით და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით იხელმძღვანელებს.

სექსუალური შევიწროების დადგენის მიზნებისთვის, უპირველესად, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, რ. ჭ.-ს მიერ განხორციელებული ქცევა, რაც გამოიხატა სოციალური ქსელის (whatsapp) გამოყენებით მიმოწერაში, იყო თუ არა **სექსუალური ხასიათის.** ქცევის ფორმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისათვის, რომ დადგინდეს, ჰქონდა თუ არა სექსუალურ შევიწროებას ადგილი.

სექსუალური შევიწროებისას მტრული სამუშაო გარემოს შექმნის შეფასებისას, ყურადღება ექცევა, თუ რა **ხანგრძლივობით** ხასიათდებოდა ქცევა - იყო თუ არა იგი **განმეორებადი ან/და განგრძობადი.** ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ, შესაძლოა, ქცევა განმეორებადი და განგრძობადი არ იყოს, თუმცა, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე,

[28] The U.S. Equal Employment Opportunity Commission, "*Policy guidance on current issues of sexual harassment*", Guidance – B, გვ. 5; ხელმისაწვდომია: https://www.eeoc.gov/policy/docs/currentissues.html

მიღებული ქცევის ფარგლებს სცილდებოდეს და გავლენას ახდენდეს სავარაუდო მსხვერპლზე[29].

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, დასაქმებულებს ხშირად გამოუცდიათ უხამსი კომენტარები, ხუმრობა, კომპლიმენტები და სექსუალური ხასიათის კითხვები, მოკლეტექსტური შეტყობინებები, მიშტერება, შეუფერებელი და სექსუალური ხასიათის ფიზიკური შეხება, განმეორებით დაპატიჟება პაემანზე, ასევე არასასურველი ფლირტი[30]. დასაქმებულები ზოგჯერ სექსუალურ შევიწროებას ტიპური სამუშაო კულტურის ნაწილად აღიქვამენ. ჩვეულებრივ, მათთვის რთულია იმის განსხვავება, თუ რა არის ფლირტი და სად გადის ზღვარი მისაღებ რომანტიულ ყურადღებას შორის. გავრცელებული პატრიარქალური კულტურული ნორმების გამო შემავიწროებლები ზოგჯერ ვერ იაზრებენ, რომ მათი სექსუალური ხასიათის ყურადღება მეორე მხარისთვის სასურველი არ არის და შეიძლება, სექსუალურ შევიწროებად აღიქმებოდეს[31].

საქმეში არსებული გარემოებებისა და მხარეთა შორის არსებული მიმოწერის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის შეფასებით, რ. ჭ.-ის მხრიდან განხორციელებული ქცევა ხასიათდება **ინტენსიურობითა** და **განმეორებადობით**. როგორც მტკიცებულების სახით წარმოდგენილი მიმოწერიდან ირკვევა, რ. ჭ.-ს განმცხადებლისთვის მისი დამოკიდებულება არ დაუმალავს. იგი თ. შ.-ს ღიად ეუბნება, რომ იყო სასურველი და რომ გრძნობა ჰქონდა მის მიმართ: - *„შენ ხომ სწორედ ის სასურველი პერსონა ხარ, ვისთანაც ყველაფერი სასიამოვნოა“; - „მიყვარს შენთან საუბარი სულიერად მამშვიდებს, თავს ვგრძნობ მორალურად მაღლა. შენც მიყვარხარ ვირტუალურად ოღონდ ეს დასაშვებ ჩარჩოებში და ეს გრძნობა მხოლოდ ჩემთან დარჩება (დაიმარხება) შენ ის არაფერს გავნებს. უბრალოდ, ალბათ როგორც ერთ მოკვდავს მეც მაქვს ჩემი სისუსტე და ასე მოხდა, თუმცა ვინახავ ჩემთვის“; - „ადამიანი შეიძლება მოგწონდეს, მეტიც, გრძნობა გქონდეს მის მიმართ და ეს ყველაფერი ფორმების დაცვით შეინახო და გაუფრთხილდე ისე, რომ მის ნაზ სიმებს არ შეეხო და არ დააზინო“; - „ნუ ფორმებზე ვერ ვილაპარაკებ თუმცა იდეალურ ფორმაში ხარ. თუმცა ალბათ სტოპ არა?“* ასევე, აცნობებდა, რომ აქტიურად ათვალიერებდა მის სურათებს, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ ქსელში ჰქონდა გამოქვეყნებული. რ. ჭ. არც სურათების ნახვის შემდგომ გაჩენილი ფიქრების გაზიარებას ერიდებოდა - *„ლამაზი სურათები გაქვს, სხვადასხვა კოლაჟით ... ისე ალბათ ადამიანმა ამოჩემება იცის და მეც რამოდენიმე სურათს რამოდენიმეჯერ შევხედავ ხოლმე, რაღაც დევს მათში მაგიური სილამაზის“; „ მხოლოდ შორიდან ვხედავ შენში მძვინვარე ხასიათს და იცი ეს საშიშია ... ნებისმიერ გამომწვევ ფოტოში სინაზე და სილამაზე მეტი ჩანს ვიდრე გამოწვევა....ეჰ, სხვების რა მოგახსენო, მაგრამ მე სიმართლე გითხრა აუწერელ სილამაზეს და სინაზეს ვხედავ მათში. თუმცა ვიცი ეს არაა*

[29] საქართველოს სახალხო დამცველი, „პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ“, გვ. 5, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021031110082436854.pdf

[30] UN Women, „სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში“, გვ. 28, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3q9XxGa

[31] UN Women, „სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში“, გვ. 24, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3q9XxGa

საინტერესო შენთვის“. საგულისხმოა, რომ მიუხედავად განმცხადებლის მოთხოვნისა, კომუნიკაცია შეხებოდა მხოლოდ სამსახურეობრივ საკითხებს, რ. ჭ.-მ არაერთხელ უგულებელყო მოთხოვნა და მიმოწერას პირადი ხასიათი მისცა[32].

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ მიმოწერისას რ. ჭ.-ის მიერ თ. შ.-ის გარეგნობასთან და ფორმასთან მიმართებით გაკეთებული თითოეული შეფასება ან კომენტარი, ინდივიდუალურად, შესაძლოა, არ იყოს საკმარისი სექსუალური შევიწროების დასადგენად, თუმცა, შეფასებებისა და კომენტარების ინტენსივობა და დროში განმეორებადობა, ქცევის სექსუალურ კონტექსტში განხილვის შესაძლებლობას ქმნის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რ. ჭ.-ის ქმედება სცილდება იმ ქცევის ფარგლებს, რაც მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე, მიღებულად იყო მიჩნეული.

შემდეგ ეტაპზე უნდა შეფასდეს, რამდენად **არასასურველი** იყო რ. ჭ.-ის ქცევა განმცხადებლისთვის. სექსუალური შევიწროების დროს არასასურველობის შეფასება ქალისა და მამაკაცის განსხვავებული სოციალური გამოცდილების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.[33] მსხვერპლის აღქმის გაგება, მათ შორის, ქალისა და მამაკაცის განსხვევებული აღქმების ანალიზსაც მოიცავს. მრავალი სახის ქცევა, რომელიც მამაკაცისთვის მიუღებელი არ არის, შეურაცხმყოფელი შეიძლება იყოს ქალისათვის. სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ მსჯელობისას, საჭიროა, ასევე იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ხდება ქცევა და სწორედ ამ კონტექსტისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იძლევა საშუალებას, რომ ობიექტურად შეფასდეს, რამდენად გონივრულად მოხდა მსხვერპლის მიერ სექსუალური ქცევის აღქმა[34]. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის რესპოდენტი ქალების უმრავლესობამ (93%) სექსუალური შევიწროება სერიოზულ სოციალურ პრობლემად მიიჩნია მაშინ, როცა იმავეს კაცების მხოლოდ 44% ფიქრობს[35].

დისკრიმინაციის საქმეებში მოქმედი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ვალდებული არ არის, მის მიერ აგრესიულად გამოხატული წინააღმდეგობა ამტკიცოს, ან ის, რომ ქმედების არასასურველობა აშკარად

---

[32] *„ ამიტომ მიყვარხარ ასეთი ჭკვიანი და შეგნებული რომ ხარ, იცი ყველაფერი და მაინც მშვიდად ხვდები ჩემგან მიუღებელ თემებს“ ; „კარგი გავჩუმდე ჯობია ალბათ, თორემ ვინ იცის რას იფიქრებ“; „კარგი, გაჩერება ჯობია ისევ. მშვიდად იყავი შენ არაფერზე ინერვიულო“; „არა მსუქანი ნამდვილად არ ხარ თუმცა არც ავადმყოფურად გამხდარი ნუ ფორმებზე ვერ ვილაპარაკებ თუმცა იდეალურ ფორმაში ხარ. თუმცა ალბათ სტოპ არა?“*

[33] Bonnie B. Westman, *"The reasonable woman sandard: Preventing sexual harassment in the workplace", William Mitchell Law Review*, Vol. 18, Issue 3, Article 18, (795), 1993, გვ. 816; ხელმისაწვდომია: http://open.mitchellhamline.edu/wmlr/vol18/iss3/18

[34] Supreme Court of the United States, Josef Oncale, Petitioner v. Sundowner Offshore Services, Incorporater, et al., No. 96- 568, 1998, II, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.law.cornell.edu/supct/html/96- 568.ZO.html

[35] UN Women, „სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში“, გვ. 19, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3q9XxGa

დააფიქსირა. საკმარისია, მსხვერპლმა მიუთითოს, რომ კონკრეტული სექსუალური შინაარსის კომენტარები ან ქმედება მას არასასურველად მიაჩნდა.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი მიმოწერისას აშკარად გამოხატავდა მის უარყოფით დამოკიდებულებას მოპასუხის ქცევის მიმართ. კერძოდ, როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მიმოწერის ამსახველი დოკუმენტით დასტურდება, თ. შ.-მ მოპასუხეს კომუნიკაციის საწყის ეტაპზევე განუმარტა, რომ მისთვის პირად ცხოვრებაზე საუბარი მიუღებელი იყო - *„ცუდად არ გამიგოთ არ მომწონს ეს ფორმა. მოდი თავს შევიკავებ მიმოწერისგან. ვიკონტაქტოდ თანამშრომლურ-მეგობრულად“*. მან, ასევე, მის მიერ დადგენილ ზღვარს ხაზი ბევრჯერ გაუსვა, მათ შორის, მიანიშნა, რომ მასთან, როგორც ხელმძღვანელთან, პირად ცხოვრებაზე საუბარი უხერხულობას უქმნიდა - *„არ შეიძლება ასე. ზომიერად კონტაქტს არ გავცდეთ ძალიან გთხოვთ. არასწორი იქნება მერე“; „არ მინდა ამაზე საუბარი ეს ჩემი სივრცეა...პირად კითხვებზე საუბარი არ მსურს“; „ეს ჩვეულებრივი ამბავი არ არის და არც გაზიარების სურვილი მაქვს ხოლმე...ასე, რომ არ დასვათ კითხვები“; „უბრალოდ ძალიან გთხოვთ ნუ აურევთ სამსახურს და პირადს ერთმანეთში. როცა ვამბობ არ მინდა ჩემს თავზე საუბარი უნდა გაიგოთ. მე ამით დავასრულე“.*

სექსუალური შევიწროებით დამდგარი შედეგი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და წარმოადგენს ფაქტის დადგენის არსებით ინდიკატორს. ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე გავლენის გამო, სექსუალური შევიწროება ერთ-ერთ სტრეს-ფაქტორად არის მიჩნეული.[36] აღსანიშნავია, რომ კონკრეტული არასასურველი სექსუალური ქცევის აღქმა, მსხვერპლში სხვადასხვა გრძნობებსა და განცდებს უკავშირდება და, უმრავლეს შემთხვევაში, ღირსების შელახვის, შეურაცხყოფის, დამცირების ან/და შიშის ემოციებს აღძრავს. ამასთან, იგი უარყოფითად აისახება ადამიანის შესაძლებლობების სრულად, თანასწორად გამოვლენაზე და კარიერულ წინსვლაზე, მომავალში. მისი შედეგები თავს იჩენს დიდი ხნის მანძილზე - იქნება ეს მძიმე ემოციური ფონი, დისკომფორტი თუ ვიქტიმიზაციის შიში.[37] საგულისხმოა, რომ კომპლიმენტებსაც კი შეუძლია ტოქსიკური სამუშაო გარემოს შექმნა და უხერხულ მდგომარეობაში მსხვერპლის ჩაგდება, განსაკუთრებით სხვა კოლეგების თანდასწრებით[38].

განსახილველ შემთხვევაში, როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებიდან და მიმოწერიდან ირკვევა, რ. ჭ.-ის ქცევა თ. შ.-სთვის შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახავი და მტრული გარემოს შემქმნელი იყო. განმცხადებლის განმარტებით, ყოველ ჯერზე, როდესაც

---

[36] Jason N. Houle, Jeremy Staff, Jaylan T. Mortimer, Christofer Uggen and Amy Blackstone, „*The impact of sexual harassment on depressive symptoms during early occupational career“,* Soc Ment Health., 1(2), (89–105), 2011, გვ. 1, ხელმისაწვდომია: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3227029/pdf/nihms318538.pdf, [ბოლოს ნანახია: 10/05/2020].

[37] Helge Hoel, Kate Sparks, Cary L. Cooper, ILO, „*The Cost of Violence/Stress at Work and the Benefits of a Violence/Stress Free Working Environment“*, 2001, გვ. 27; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cniNzh; E.T. v. Dress Code Express Inc., 2017 HRTO 595 (CanLII), §31; ხელმისაწვდომია: http://canlii.ca/t/h436c; Granes v. 2389193 Ontario Inc., 2016 HRTO 821 (CanLII), §67; ხელმისაწვდომია: http://canlii.ca/t/gs81f; [ბოლოს ნანახია: 10/05/2020].

[38] UN Women, „სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში“, გვ. 30, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3q9XxGa

რ. ჭ.-სთან, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, კომუნიკაციის აუცილებლობა არსებობდა, იგი ღელავდა, სმს შეტყობინების გაგზავნის ეშინოდა, რათა მოპასუხეს მასთან არასამსახურეობრივ საკითხებზე მიმოწერა არ გაეგრძელებინა. მისთვის უკიდურესად შემაშფოთებელი იყო სოციალურ ქსელებში მისი სურათების აქტიურად თვალიერების ფაქტიც, რის გამოც მას რ. ჭ.-ის ყველა სოციალურ ქსელში დაბლოკვა მოუწია. მიღებული სტრესის შედეგის საილუსტრაციოდ, თ. შ.-მ შემთხვევაზე მიუთითა, როდესაც ნერვიულობისგან სხეულზე ალერგიული რეაქცია, „ჭინჭრის ციება", განუვითარდა. მისთვის, რომ სამუშაო გარემო არასასიამოვნო და მტრული გარემოს შემქმნელი იყო მის მიერ საკუთარი ნებით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ფაქტიც ადასტურებს. შრომითი ურთიერთობის დასრულების საფუძველი რომ მოპასუხის დამოკიდებულება და კომენტარები გახდა, დასტურდება მხარეთა შორის არსებული მიმოწერით - *„ბოლო დროს თქვენი დამოკიდებულება, კომენტარები მხდის იძულებულს წავიდე სამსახურიდან. ძალიან მნიშვნელოვანია სამსახური ჩემთვის, არასერიოზულად არასდროს მოვკიდებივარ წესით უნდა იცოდეთ, თუმცა ღირსება გაცილებით ძვირფასია...რატომ უნდა მიხდებოდეს თქვენი დაბლოკვა ყველა სოც ქსელში, თქვენი უკონტროლო კომენტარების გამო".*

სახალხო დამცველის პრაქტიკის გათვალისწინებით[39], მაშინ როდესაც მხარეებს შორის სუბორდინირებული ურთიერთობა არსებობს, სექსუალური შევიწროების რისკი გაცილებით მაღალია, რამდენადაც, არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, შემავიწროებელს შეუძლია გავლენა მოახდინოს მსხვერპლის სტატუსზე. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას რ. ჭ.-ის დამოკიდებულების უეცარ ცვლილებასა და განმცხადებლისთვის გაცდენების გახშირებასა და პრობლემების შექმნაზე მითითების ფაქტს - *„რაღაც ძალიან გაგიხშირდა ასე ვთქვათ გაცდენები და თუ ატყობ პრობლემებს ქმნი ძალიან ხშირად. შენ თუ ვერ და არ მოდიხარ აღწერაზე მოაგვარე სხვანაირად, ისე რომ მე არავინ მისაყვედუროს".* მხარეთა შორის არსებული მიმოწერის თანახმად, რ. ჭ.-ის გაღიზიანება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თ. შ.-მ, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, დაკისრებული მოვალეობის შესრულება ვერ შეძლო. საგულისხმოა, რომ სხვა მსგავს შემთხვევებში მოპასუხე გაგებით ეკიდებოდა განმცხადებლის ავადმყოფობას, იგი მხოლოდ მას შემდგომ გაღიზიანდა, რაც თ. შ.-მ ყველა სოციალურ ქსელში დაბლოკა. სოციალურ ქსელებში დაბლოკვით გამოწვეული უკმაყოფილება მოპასუხემ ღიად გამოხატა - *„ეჰ, მეც მჭირდებოდა ხანდახან შენ სოც ქსელებში შეხედვა მაგრამ ეტყობა მიმაბლოკე".* განმცხადებლის მიმართ პრეტენზიის გაჩენის დროში

[39] იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებები:
2020 წლის 13 აპრილის რეკომენდაცია დ.ა.-ს და სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის" წინააღმდეგ; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2zslMYw; 2020 წლის 13 აპრილის რეკომენდაცია ლ.ჯ.-ს წინააღმდეგ, გვ. 13; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3fCRdQw 2019 წლის 16 ოქტომბრის რეკომენდაცია მ.ჩ.-ს და კერძო კომპანიის წინააღმდეგ; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2AgMYKr; 2019 წლის 18 ოქტომბრის სასამართლო მეგობრის მოსაზრება; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2LcWbFT; 2017 წლის 4 დეკემბრის რეკომენდაცია შპს „ფრესკოს" წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YW0uxr; 2017 წლის 3 მაისის რეკომენდაცია პ.უ.-ს წინააღმდეგ; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35XW3nj.

თანხვედრა სოციალურ ქსელებში განთავსებულ სურათებზე წვდომის შეზღუდვით გამოწვეულ უკმაყოფილებასთან, სახალხო დამცველს უჩენს ეჭვს, რომ აღნიშნული უკმაყოფილება მიზნად ისახავდა მისი, როგორც დამსაქმებლის დომინანტური როლის წარმოჩინების გზით, განმცხადებელზე გავლენის მოხდენას.

3. დასკვნა

განსახილველ საქმეში, საქართველოს სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების ვარაუდი განმცხადებელის მიერ მითითებული იმ ფაქტების საფუძველზე, რომელთა თანახმად, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა არასასურველ სექსუალური ხასიათის მიმოწერას, რის გამოც განმცხადებელს შეექმნა მტრული, შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავი გარემო. განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილი მტკიცებულება ამყარებს მის მიერ განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო, ვინაიდან მოპასუხემ არ წარმოადგინა სათანადო ინფორმაცია, მან ვერ შეძლო დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის გაქარწყლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ რ. ჭ.-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა თ. შ.-ის მიმართ სექსუალურ შევიწროებას, რაც გამოიხატა არასასურველ სექსუალური ხასიათის მიმოწერაში, რომელმაც განმცხადებელს შეუქმნა მტრული, შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავი გარემო.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს რ. ჭ.-ს:

- მომავალში არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას თანამშრომლებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან/და მათი ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო; შეიმუშავოს სექსუალური შევიწროების პრევენციის შიდაორგანიზაციული დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის გასაჩივრებისა და შესწავლის პროცედურები.

გთხოვთ, რეკომენდაციის განხილვის შედეგებთან დაკავშირებით მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,